„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი • №16 (9510) • 16-31 აგვისტო • ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სამუშაო შეხვედრა

ჩვენი დროის გლობალურ გამოწვევასთან, კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ანა ჭიჭაღუა, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მენეჯერი ნანა ჯიჯიხია, შესაბამისი სამსახურების უფროსებთან ერთად, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს ქალაქის უბნებსა და ადმინისტრაციული ერთეულების ამბულატორიებში, გამსვლელი მობილური ბრიგადების დახმარებით, ადგილებზე მოსახლეობის ვაქცინაციის ჩატარების სამზადისის შესახებ.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ასაცრელი მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფის, ამ საქმეში მერის წარმოადგენლების აქტიური ჩართულობის საკითხებს.

აღინიშნა, რომ ვაქცინაციის პროცესმა ოპერატიულად და დროულად უნდა მოიცვას ადმინისტრაციული ერთეულები, რადგან ვაქცინაცია ვირუსისგან დაცვის ეფექტური, უსაფრთხო და უალტერნატივო საშუალებაა.

კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების წარმომადგენლებთან და ოჯახის ექიმებთან, სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ეპიდემიოლოგიური ვითარება, დაწესებული შეზღუდვების აღსრულების მკაცრი კონტროლის აუცილებლობა და კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის ერთობლივად გასატარებელი ღონისძიებები განიხილეს.

საუბარი შეეხო ადმინისტრაციულ ერთეულებში ასაცრელი მოსახლეობის დროულ ვაქცინაციას, როგორც ინფექციისგან დაცვის ეფექტურ, უსაფრთხო და უალტერნატივო საშუალებას.

სოფლებში ადგილზე ვაქცინაციასთან ერთად, იმუნიზაცია ასევე შესაძლებელია სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, სადაც აცრა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული ვაქცინებით კეთდება.

მასობრივი ვაქცინაცია ადმინისტრაციულ ერთეულებში

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მასობრივი ვაქცინაციის პროცესი დაიწყო.

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულის ამბულატორიაში, ამცრელი ჯგუფი, იმუნიზაციის პროცესს დილიდან შეუდგა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრა, ადგილზე რეგისტრაციის საფუძველზე, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. ადმინისტრაციულ ერთეულებში ვაქცინაცია ამჯერად სინოფარმისა და სინოვაკის ვაქცინითაა შესაძლებელი.

საექიმო ამბულატორიები იმუნიზაციისთვის აუცილებელი ყველა სტანდარტს აკმაყოფილებენ.

ვაქცინაციის პროცესი გრძელდება

სენაკის მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის პროცესი აქტიურად გრძელდება.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ამცრელი ჯგუფი ამჯერად მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა.

მოსახლეობის ვაქცინაცია ადგილზე რეგისტრაციით მიმდინარეობს.

ამცრელ კაბინეტებში იმუნიზაციისთვის აუცილებელ ყველა სტანდარტია დაცული. ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

სოფლებში ადგილზე ვაქცინაციასთან ერთად, იმუნიზაცია ასევე შესაძლებელია სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, სადაც აცრა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული ვაქცინებით კეთდება.

ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში

მასობრივი ვაქცინაცია ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის ამბულატორიაში ჩატარდა. ადგილობრივი მოსახლეობა, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით, ადგილზე რეგისტრაციის საფუძველზე, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ამცრელმა ჯგუფმა - ქართლოს ბოჯგუამ, ფატიმა ხაბურზანიამ და ია შამათავამ აცრეს. ადმინისტრაციულ ერთეულებში ვაქცინაცია ამჯერად სინოფარმისა და სინოვაკის ვაქცინითაა შესაძლებელი.

ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორთან, მურმან ბოჯგუასთან ერთად გაეცნო.

ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ამცრელი ჯგუფი ამჯერად ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, აიცრა მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, გელა ჯოჯუა.

მასობრივი ვაქცინაცია ასევე ჩატარდა თეკლათის, მენჯის, ეკის და ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულებში და მუნიციპალიტეტის 14-ვე ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს.

სოფლებში ადგილზე ვაქცინაციასთან ერთად, იმუნიზაცია ასევე შესაძლებელია სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, სადაც აცრა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული ვაქცინებით კეთდება.

კიდევ ერთი განახლებული ქუჩა

სენაკს კიდევ ერთი განახლებული ქუჩა შეემატა - ეს თამარის ქუჩაა, რომლის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულებამ 350 370 ლარი შეადგინა.

ბოლო სამი წლის მანძილზე, სენაკის მუნიციპალიტეტში, 500-მდე ინფრასტუქტურული პროექტი განხორციელდა. მათ შორის, 2017-2020 წლებში, ქალაქად რეაბილიტირდა 75 ქუჩა, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებში - 54.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ასევე უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სენაკის მერობის კანდიდატის ვახტანგ გადელიას წარდგენა

26 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის ტერიტორიაზე შეკრებილ საზოგადოებას „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" სენაკის მერობის კანდიდატი **ვახტანგ გადელია** წარუდგინა.

პრემიერ-მინისტრი მიესალმა სენაკელებს. აღნიშნა, რომ „ქართულმა ოცნებამ" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და შეუქცევადი წინსვლისათვის. ამის დასტურია ის მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურული, სოციალური და ეკონომიკური პროექტები, რომლებიც განხორციელდა რეგიონში და მათ შორის სენაკის მუნიციპალიტეტში.

პრემიერმა გამოკვეთა ნოქალაქევის უნიკალურობა და აღნიშნა, რომ ძეგლის რესატვრაცია-აღდგენაში, სახელმწიფოსთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ფონდ „ქართუს"

პრემიერმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდა, პერსპექტიული, თავისი კუთხის მოსიყვარულე - „ქართული ოცნების" სენაკის მერობის კანდიდატი ვახტანგ გადელია პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით შეძლებს სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული ოჯახის საჭიროებისა და პრობლემების შესწავლას, მათ დროულ მოგვარებას.

პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა **კახა კუჭავამ** აღნიშნა, რომ განვითარება და წინსვლა მეგრელი კაცის ხასიათშია. სენაკი, რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია თავისი კულტურით, ტრადიციებით, ღირსეული ადამიანებით.

აქ დაიბადა და აღიზარდა საქართველოს ეროვნული გმირი ჟიული შარტავა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის და მომავალი თაობების უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას შეეწირა.

აღნიშნა, რომ მერობის კანდიდატი ვახტანგ გადელია შეძლებს შექმნას სათანადო გარემო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინსვლისა და წარმატებისათვის.

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ და ჩვენმა თანაქალაქელმა, ოთარ დანელიამ ისაუბრეს რეგიონის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის დარგებში განხორციელებულ პროექტებზე. სენაკის მუნიციპალიტეტში შესრულებულ ფართო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე.

ვახტანგ გადელიამ მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს, მთავრობის წევრებს ნდობის გამოცხადებისთვის. **„შეუძლებელია არ დააფასო, ის ძალიან დიდი შრომა, რომელიც ქართულ ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გასწია იმისათვის, რომ სენაკი ბევრად წინ ყოფილიყო, ვიდრე 2012 წელს იყო".**

მერობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ იცის, როგორ დაძლიოს მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები, იცის, როგორ გადაიყვანოს ქალაქი სენაკი და მუნიციპალიტეტის თითოეული სოფელი განვითარების ახალ ეტაპზე.

შემდეგ ვახტანგ გადელიამ საზოგადოებას წარუდგინა ქართული ოცნების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში: გიგა წურწუმია, გრიგოლ მიქაია, ბეჟან სანაია, ირაკლი ცხვიტავა, ირაკლი რუსია, ბადრი ხურცია, კობა კილასონია, ლევან ჯინორია, შაქრო კოკაია, კაპიტონ ტორჩინავა, ბადრი შარტავა.

პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა სენაკის მერს ბატონ ლევან კუპრეიშვილს განვლილ პერიოდში გაწეული წარმატებული საქმიანობისათვის და არჩევნებში გამარჯვება უსურვა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სენაკის მერობის კანდიდატს ვახტანგ გადელიას.

საქართველოსა და გერმანიის მთავრობის თანამშრომლობის ფარგლებში „წარმოადგინეთ და ხორცი შეასხით თქვენს იდეებს"

სენაკის მუნიციპალიტეტში, საქართველოსა და გერმანიის მთავრობების თანამშრომლობის ფარგლებში, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელების პროცესი დაიწყო. ამ პროგრამის შესახებ, ვესაუბრეთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ლევან კუპრეიშვილს.

ბატონო ლევან, სენაკის მუნიციპალიტეტში დაიწყო სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა. მკითხველს აინტერესებს, თუ რას ეხება ეს პროგრამა, რას ემსახურება?

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა ჩართულობით გამორჩეული მსგავსი პროგრამები, ფართოდ არის გავრცელებული ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. სასიკეთო გამოცდილების გადმოღება განსაკუთრებით სასარგებლოა მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მაცხოვრებლისთვის სასურველი სხვადასხვა სფეროს განვითარებისთვის. სამოქალაქო ბიუჯეტირება მართლაც რომ ერთ-ერთი სამაგალითო პროგრამაა. იგი თანდათანობით ინერგება საქართველოს მუნიციპალიტეტებში. მათ შორის, სენაკშიც ჩაეყარა საფუძველი.

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა მაქსიმალურად უწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის თვითმმართველობაში ჩართულობის ამაღლებას. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც უშუალოდ მათ ეხებათ, რაც მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. იმედი მაქვს, რომ სენაკში ამ კუთხით აქტიურობის მაღალი მაჩვენებელი იქნება, რაც ამ უმნიშვნელოვანესი პროგრამის წარატებულ განხორციელებას შეუწყობს ხელს.

რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს სენაკელთა აქტიურობა, კონკრეტულად, რა უნდა გააკეთონ სენაკელებმა?

თითოეულ სენაკელს აქვს საშუალება მერიას გაუგზავნოს თავისი საპროექტო იდეა იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება სურს მშობლიურ ქალაქსა თუ სოფელში. მოსახლეობის მხრიდან იდეების, ანუ საპროექტო წინადადებების მიღების შემდეგ, მოხდება მათი გადარჩევა კრიტერიუმების შესაბამისად, რომელსაც დაწვრილებით მიმოვიხილავ. შემდგომ ეტაპზე, გადარჩეული პროექტები დადგება კენჭისყრაზე. ხმის მიცემის უფლება აქვს სენაკში რეგისტრირებულ ნებისმიერ ზრდასრულ მოქალაქეს. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება პროექტების ჩამონათვალიდან აირჩიოს მათთვის სასურველი წინადადება და მას უყაროს კენჭი. ის იდეა, რომელიც მოიპოვებს მოსახლეობის ყველაზე მეტ მხარდაჭერას, დაფინანსდება მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან.

რა კრიტერიუმებით მოხდება შემოსული პროექტების გადარჩევა?

არის რამდენიმე იოლად აღსაქმელი კრიტერიუმი:

პირველი - რა თქმა უნდა, პროექტი უნდა ხორციელდებოდეს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მეორე - პროექტის ხარჯთაღრიცხვა უნდა ჩაეტიოს 50 000 ლარში. ცხადია, წინასწარ ზუსტად შეუძლებელია შეფასდეს, თუ რა დაჯდება ესა თუ ის პროექტი, თუმცა, გამოცდილების გათვალისწინებით, შეგვიძლია გარკვეული სიზუსტით დავადგინოთ პროექტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და თუ პროექტის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად ასცდება 50 ათას ლარს, ის ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე.

მესამე - იდეა უნდა იყოს ორიგინალური და არ უნდა განმეორდეს მიმდინარე ან შემდეგი წლის ბიუჯეტში. რა თქმა უნდა, თუ კი რომელიმე პროექტი უკვე კეთდება, ან ისედაც დაგეგმილია განხორციელება, ასეთი პროექტის კენჭისყრაზე დაყენებას აზრი აღარ აქვს.

მეოთხე - პროექტის განხორციელება ტექნიკურად უნდა იყოს შესაძლებელი. მაგალითად, თუ მოგვთხოვეს სპორტული მოედნის მოწყობა იქ, სადაც სახელმწიფოს მიწა არ გააჩნია და მხოლოდ კერძო ნაკვეთებია, რა თქმა უნდა, ასეთი პროექტი ტექნიკურად ვერ განხორციელდება.

და ბოლოს, მეხუთე კრიტერიუმი - წარმოდგენილი პროექტის განხორციელება უნდა შედიოდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებში. მაგალითად, თუ მოგვთხოვეს რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოების განხორციელება, ამ პროექტს ჩვენ ბიუჯეტიდან ვერ დავაფინანსებთ იმიტომ, რომ მელიორაცია არ შედის მერიის კომპეტენციაში.

მაინც, როგორი ტიპის წინადადებები შეიძლება წარმოადგინოს მოსახლეობამ?

დაფინანსდება ისეთი პროექტები, როგორებიცაა გზების, ქუჩების, გარე განათების მოწყობა, დასუფთავების საკითხების ახლებური მეთოდებით მოგვარება, პარკებისა და სკვერების გაშენება-მოწესრიგება, სანიაღვრე სისტემები, სასმელი წყალი, სასაფლაოების მოწყობა-შემოღობვა, ატრაქციონების, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე, შესაძლებელია ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული და მსგავსი ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტები.

დაახლოებით, რა ვადებია დაწესებული პროექტების წარდგენისა და შემდგომი პროცედურებისთვის ?

მიმდინარე წელს ეს პროგრამა საპილოტეა. რადგან შედარებით გვიან დაიწყო, შემჭიდროვებული ვადები გვაქვს. წინადადებების მიღება 31 აგვისტოს დასრულდება. შემდეგ, ერთი კვირის ვადაში, შემოსული პროექტები გადაირჩევა. კენჭისყრა 16 სექტემბერიდან და 31 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. იმარჯვებს ის პროექტი, რომელიც მოსახლეობისგან ყველაზე მეტად იქნება მხარდაჭერილი და ხმების მეტ რაოდენობას მოაგროვებს.

ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში 15 ნოემბრამდე უნდა გადაიგზავნოს. ამასთან, მერიასაც სჭირდება გარკვეული დრო, რომ გამარჯვებული იდეა დაწვრილებით იქნეს შესწავლილი, გადამუშავებული და ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს შემჭიდროებულ ვადებს უნდა მოვერგოთ. სამომავლოდ, პროექტების წარდგენის და კენჭისყრის ვადები უფრო გაიზარდება.

რა ფორმით, როგორ შეუძლია მოსახლეობას პროექტების წარდგენა და კენჭისყრაში მონაწილეობა, სად უნდა გამოცხადდნენ?

საპროექტო წინადადებების წარმოსადგენად მერიაში მოსვლა აუცილებელი არ არის. ყველას ინტერნეტით, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის - წწწ.სენაკი.გოვ.გე მეშვეობით შეუძლია შეავსოს მარტივი ფორმა (უნდა დაჭიროთ ღილაკს - „დაგეგმე შენი ბიუჯეტი". ღილაკის დაჭერის შემდეგ გადახვალთ კენჭისყრის ფორმაზე) და წარმოადგინოს თავისი პროექტი. ვისაც ინტერნეტთან წვდომა, ან ინტერნეტში მუშაობის უნარები არ აქვს, შეუძლიათ რწმუნებულების მეშვეობით გამოაგზავნონ საპროექტო წინადადებები. რწმუნებულებს ექნებათ ამობეჭდილი ფორმები, რომელსაც მარტივად შეავსებთ და გამოაგზავნით ჩვენთან, მერიაში. შემდეგ ეტაპზე, ჩატარდება კენჭისყრა. კენჭისყრა მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით არის შესაძლებელი.

გმადლობთ დეტალური ინფორმაციისთვის. როგორი იქნება თქვენი მოწოდება სენაკელებისადმი, ამ პროექტში ჩართვასთან დაკავშირებით?

მინდა დავარწმუნო სენაკელები, რომ ეს არის მათთვის შექმნილი უმნიშვნელოვანესი პროექტი. წარმოადგინეთ და ხორცი შეასხით თქვენს იდეებს თქვენი მშობლიური კუთხის განვითარებისთვის.

და ბოლოს, მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, გერმანიის მთავრობის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიმართ, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელებაში დიდი თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

გლობალიზაცია - თანამედროვეობის შეუქცევადი პროცესი

ცოტნე ეჯიბია სენაკის №1 საჯარო სკოლის XII კლასის წარმატებული მოსწავლეა. აქტიური, მიზანდასახული ახალგაზრდა არაერთი სასწავლო-შემოქმედებითი და საგნობრივი ოლიმპიადის გამარჯვებულია. დაჯილდოებულია სიგელებით. მიღებული აქვს სერთიფიკატები სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობისათვის.

როგორც ცნობილია თანამედროვე მსოფლიოში არაერთგვაროვანია მოსაზრება გლობალიზაციის შესახებ.

ვფიქრობთ, მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ცოტნე ეჯიბიას მოსაზრება გლობალიზაციის პროცესზე.

მინდა გესაუბროთ ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესზე, რომელსაც ჰყავს უამრავი მომხრე მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგეც. გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს და პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. მისი მოწინააღმდეგეები ფიქრობენ რომ გლობალიზაცია ხელს უშლის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და არ აძლევს ერებს თვითგამორკვევის საშუალებას. მე ყველაზე მეტად ის მიკვირს, რომ ყველა თანხმდება ერთ რამეზე- გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და მისი შეჩერება არავის შეუძლია, თუკი ჩვენ არ შეგვიძლია ამ პროცესის შეჩერება მაშინ უკეთესი არ იქნება რომ იგი ჩვენს სასიკეთოდ გამოვიყენოთ?

საქართველო ტერიტორიულად პატარა, მაგრამ კულტურული თვალსაზრისით ძალიან დიდი ქვეყანაა. ჩემი აზრით სწორედ ეს ფაქტი აფრთხობს საზოგადოებას. ფაქტი რომ ის, რამაც ჩვენი ქვეყანა დღევანდლობამდე მოიყვანა (კულტურა, რელიგია, ტრადიციები) გაქრება, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის, ჭეშმარიტი გლობალიზაცია არ ისწრაფვის იმისკენ, რომ რომელიმე კონკრეტულმა ერმა სხვა ერის კულტურა შთანთქოს. მაგალითად ჩემთვის გლობალიზაცია არის ქვეყანათა შორის მეგობრობის, მშვიდობისა და ზოგადად ჯანსაღი ურთიერთობის გარანტი. დღეს საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და ეს ახალი ტიპის კოლონიალიზმს წააგავს. მე შევეცდები დაგანახოთ ეს მართლა ასეა თუ არა და ამის გაკეთებას მცირე ესეისტური და არგუმენტირებული მსჯელობით შევეცდები.

მოგეხსენებათ, რაც დრო გადის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უფრო ღრმავდება, ქვეყნები ერთმანეთს უმეგობრდებიან და მათ შორის ყალიბდება ჯანსაღი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობა. სწორედ ეს ყველაფერი ხელს უწყობს მათი ენების, ცხოვრების წესის, შეხედულებებისა და ტრადიციების პოპულარიზაციას, მათ გავრცელებას და საჭიროებას. ავიღოთ ჩვენი ქვეყნის მაგალითი, საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით საკმაოდ დიდი. ალბათ დამეთანხმებით, რომ საქართველოში არც თუ ისე შორეულ წარსულში განვითარებული მოვლენების გამო ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ ნელა და მძიმედ მიმდინარეობდა, დღეს განვითარების ტემპი გაცილებით მაღალია, მაგრამ კვლავ ვდგავართ გარკვეული გამოწვევების წინაშე. ამ საკითხში ჩვენთვის მისაბაძი ქვეყანა არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც აგრეთვე არის ყველა მიმართულებით საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენ მათგან ვსწავლობთ და ვამკვიდრებთ ჩვენს სახელმწიფოში დემოკრატიულ ღირებულებებს, ღირებულებებს, რომლითაც ვაშენებთ ქართულ დემოკრატიას. გვაქვს უამრავი ორივე მხარისთვის სასარგებლო პროგრამა ეკონომიკის, თავდაცვის და განათლების სფეროებში. ასევე გვაქვს ძალიან სასარგებლო ურთიერთობა ტურიზმის კუთხით, ვეცნობით და ვეზიარებით ერთმანეთის კულტურას, ადათ-წესებს და იმ ფასეულობებს, რომლებსაც ემყარება ჩვენი ქვეყნების სახელმწიფოებრიობა. მსგავსი ურთიერთობა კი თითოეულ მოქალაქეში ამაღლებს ზოგადი განათლების დონეს, ხელს უწყობს კოსმოპოლიტი საზოგადოების ჩამოყალიბებას და რაც ყველაზე მთავარია ერებს უქმნის ნიადაგს ერთმანეთთან ჯანსაღი ინტეგრაციისთვის. ზუსტად ეს არის ჭეშმარიტი გლობალიზაცია რომელიც არა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, არამედ სრულყოფს მას, განა როგორ შეიძლება მსგავსი ტიპის ''მოქნილი დიპლომატია'' სახელმწიფოებს შორის ჩაითვალოს რომელიმე მხარისთვის საფრთხედ? დიახ, ჩემი სუბიექტური აზრია, რომ გლობალიზაცია ყველაზე მოქნილი დიპლომატიაა და ცნებაა რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მსოფლიო მშვიდობა.

აშშ-სა და საქართველოს მეგობრობა და სწრაფვა ერთ-ერთი ყველაზე რეალური სახეა ჭეშმარიტი გლობალიზაციის საწყისი ეტაპის, მაგრამ აქ საუბარი არ არის მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე. თითოეული ქვეყანა, რომელსაც აქვს სურვილი რომ შედგეს სახელმწიფოდ, უნდა ცდილობდეს საკუთარი კულტურის პოპულარიზაციას. სხვა ქვეყნის კულტურისკენ სწრაფვა არ ნიშნავს საკუთარის განადგურებას და ეროვნული იდენტობის წაშლას, ვერავინ შეძლებს საქართველოს მსგავსი ''კულტურული გიგანტი'' ჩაყლაპოს. მე ვთვლი, რომ დღევანდელი გლობალიზაციის შედარება კოლონიალიზმთან (რაც ჩვენ დღეს ძალიან ხშირად გვესმის) არ არის სწორი. კოლონიალიზმი აღსავსე იყო ძალადობრივი ქმედებებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კოლონიზატორები იბრძოდნენ მხოლოდ პირადი სარგებლის მისაღებად, აქ იჩაგრებოდა ის მხარე, რომელიც იყო ნაკლებად განვითარებული და პროგრესული. დღევანდელი გლობალიზაციის ჟამს კი აბსოლუტურად ყველა მხარე იღებს სარგებელს, ბიოლოგიური ტერმინი რომ გამოვიყენოთ და მარტივად რომ ვთქვათ, მათ შორის ყალიბდება ''სიმბიოზური'' ურთიერთობა. ასე რომ ჩემი ნაშრომის საბოლოო დასკვნა არის შემდეგი: გლობალიზაცია არანაირ საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. თუმცა ყველამ ვიცით, რომ მედალს ორი მხარე აქვს და ჩვენ მხოლოდ ერთი რაკურსიდან არ შევხედოთ საკითხს. ბუნებრივია გლობალიზაციასაც აქვს მინუსები. თუმცა მისგან სარგებელი გაცილებით მეტია, ვიდრე საფრთხე.

მოდით მოქალაქეს, რომელიც მომხრეა ჯანსაღი გლობალიზაციის და იგი ჩართულია ამ პროცესში - „გლობალიზატორი“ ვუწოდოთ. გლობალიზატორს უნდა ჰქონდეს „ფილტრი“, „ფილტრი'' იმისთვის, რომ თუკი იმ ქვეყნის კულტურაში რომელთანაც ცდილობს ინტეგრაციას დაინახავს რაიმეს, რაც მიუღებელია მისთვის და ეწინააღმდეგება მის ფასეულობებს, არ მიიღოს, დატოვოს თამაშგარე მდგომარეობაში და მხოლოდ აითვისოს ის რაც აწყობს, სჭირდება და შეუძლია.

ცოტნე ეჯიბია

მომავალი გამარჯვებების საწინდარი

სენაკელების სიამაყე და არა მარტო სენაკელების, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, ჭაბუკთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის საქართველოს ჩემპიონი, მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი, ორგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელი გიორგი ჩხიკვაძე (72 კგ) რუსეთის ქალაქ უფაში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატზე (მხოლოდ ფინალი ,,დათმო") მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი გახდა.

გიორგიმ სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტი დადო:

მადლობა ყველას, ვინც გვერდში მედგა, მგულშემატკივრობდა და ჩემი სჯეროდა. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და მეხმარება იმაში, რომ ბევრჯერ გაგახაროთ და ავაფრიალო საქართველოს დროშა.

რაც შეეხება ჩემს გამოსვლას, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავეცი, მინდოდა მომეპოვებინა ოქროს მედალი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, იყო რაღაც, რაღაც ნიუანსები, რაც გამოსასწორებელი მაქვს და შევეცდები შემდეგში უფრო და უფრო გაგახაროთ და მოვიპოვო ოქროს მედლები.

გიო, გილოცავთ წარმატებას, გვჯერა ეს ,,დამარცხება" იქნება მომავალი გამარჯვებების საწინდარი, მომავალში ბევრი და ბევრი წარმატება გელოდება.

მ. გერგაია

განცხადება

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის (თემის) მერის 2021 წლის არჩევნების 2 ოქტომბერში დანიშვნასთან დაკავშირებით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულაციების" შესაბამისად მედიისათვის განსაზღვრული ვალდებულებით, რაც საზოგადოების არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას და არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და მერობის კანდიდატთა თანაბარი პირობების შექმნას უკავშირდება, გაზეთ ,,კოლხეთში" წინა საარჩევნო აგიტაციისა და რეკლამებისთვის გამოიყო მიმდინარე წლის აგვისტოს და სექტემბრის თვის ნომრებში (პერიოდულობა 1-15 აგვისტო, 16-31 აგვისტო, 1-15 სექტემბერი,16-30 სექტემბერი;) ორი-ორი გვერდი, დაწესდა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარი ფასიანი (1 სამაკეტო უჯრა) და უფასო ფართი. მოცულობა -გამოყოფილი 1 ერთი გვერდის მესამედი თითოეული მერობის კანდიდატისა და პარტიებისთვის.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის ქ.№103, ტელეფონი: 0413 27 61 50

გაზეთი ,,კოლხეთი

ხსოვნა
გოჩა ლომია

სენაკმა თავისი ღირსეული შვილი, ქართული კინოს კოლორიტული სახე, სენაკის საპატიო მოქალაქე და, უბრალოდ, განუმეორებელი ,,ღიმილის ბიჭი'' - გოჩა ლომია დაკარგა.

გოჩა ლომიამ, რომელსაც ხალხმა, მის მიერ შესრულებული ერთ-ერთი დაუვიწყარი პერსონაჟის სახელი - ,,ბოლოკა'' შეარქვა, თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში. იყო ღირსეული სენაკელი - მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პეწითა და იუმორით, სითბოთი და შინაგანი თავისუფლებით გამორჩეული.

კიდევ ერთმა ,,ღიმილის ბიჭმა'' დატოვა წუთისოფელი...

მისი სახელი დაუვიწყარია ქართული საზოგადოებისა და კინოსთვის, თითოეული სენაკელისთვის.

იზოლდა ჩვამანია



თავმდაბალი, მეგობრული, ყველას ჭირისა და ლხინის გულთან მიმტანი, ყველას მოკეთე, მინდობილი, საქმის ზედმიწევნით შემსრულებელი... დიდი სულისა და გულის პატრონი იყო ჩვენი მეგობარი იზო ჩვამანია. ის წლების მანძილზე სხვადასხვა პრესტიჟულ სამსახურებში, ბოლოს კი ჩვენთან შ.პ.ს „საინფორმაციო ცენტრში“ მუშაობდა.

იზო ჩვამანია ჩვენი რედაქციის საყვარელი თანამშრომელი იყო, „პრინცესას“ ვეძახდით თავისი მანერების, ჩაცმის და სტილის გამო. ჩვენი ასეთი დამოკიდებულება უხაროდა, სიყვარულით გვპასუხობდა. ყველას მოამაგე ყურადღებითა და პატივისცემით იყო გარემოსილი ოჯახსა და საზოგადოებაში. ათი წელი იმუშავა ჩვენთან და დაგვიტოვა დიდი სითბო და სიყვარული. წლები ვერ გააქრობს მის ხატებას ჩვენში.

ქალბატონო იზო, ოთხი წელი გასულა შენი გარდაცვალებიდან, ვაკლიხართ, გვენატრებით. ნათელი დაადგეს შენს სპეტაკ სულს.

„კოლხეთელები"

გული კირცხალია

ჩვენო უსაყვარლესო მეგობარო, თბილო და დიდსულოვანო, უზომოდ კეთილო, იმიერ საუფლოს ბინადარო, შარშან ამ დროს ჩვენთან იყავი, გაზეთით მოგილოცეთ მარიამობა და დაბადების დღე. გესიამოვნა, გახარებული იყავი, შენს ფეისბუქ გვერდზე აღნიშნე, „კოლხეთელებმა“ ასე მომილოცესო დაბადების დღე. ახლაც გვინდა მოგეფეროთ და გავიგოთ შენი ხმა, შენი „სკანი გოლუაფირო“ მაგრამ? სანთელ — საკმეველი არ მოკლებოდეს შენს უმწიკვლო სულს: გვჯერა იქ ხარ , სადაც მართალნი განისვენებენ.

მკითხველს ვთავაზობთ შენს რამდენიმე ლექსს.

გამოვიღვიძე

გამოვიღვიძე,
გული უნდა მოვუკლა დუშმანს,
ფლიდი საწუთრო მომიმზადებს
ალბათ ისევ შხამს,
გამოვიღვიძე, უცხოს აღარ
დავუთმობ მისხალს
ჩემი მიწისას, სად წინაპართ
ძვლები მარხია,
სად ქეთევანის და თამარის
ნატერფალია,
სად არსაკიძის მარჯვენა და
ტატო მარხია,
მამულო ჩემო-შენს ზვარაკად
სიცოცხლე ჩემი,
გამოვიღვიძე,
შევიცანი მოყვარე, მტერი,
და აწი მინდა ფრთები,
მინდა მე ასაფრენი
ო, როგორ მტკივა,
რაც შენ გტკივა, ნეკნი ვარ შენი,
გამოვიღვიძე...
ხრა აკვანი უნდა ვარწიო,
დღეს საქართველოს ბევრი ძე
და ასული უნდა,
გამოვიღვიძე -
შინდისფერი დროშა გავშალე,
გამოვიღვიძე-
გული უნდა მოვუკლა
დუშმანს!!

***

რაღაც მიხარია,
რაღაც ძალიან მწყინს,
სული გამიორდა რა ვქნა?
ვეძებ, გულით ვეძებ,
ვეძებ წარსულ დღეებს,
არსად იმის მსგავსი არ ჩანს.
როცა ჩაივლიდი ქუჩას
ბულვარისას
ამზიანდებოდა გული
დიდი თუ პატარა ერთურთს
შესცქეროდა
სითბოთი-სიყვარულით.

მბოჭავს, ფიქრი მბოჭავს,
სული, სული მტკივა, ძალიან,
ძალიან მწყინს-
თავაზი, მოკრძალება
დაკარგულია და
ბილწი სიტყვა გვიწვავს ყურს.

თავაზი, მოკრძალება,
რთიერთპატივისცემა,
წმინდათა წმინდა და წმინდა,
ცხოვრება წინ წავიდა?-
რაღაც შეიცვლა
გული კვლავ სალამურობდეს მინდა.

***

წილნაყარი ვარ
უბედობისგან
გაუწალდავით დავდივარ
გზებით,-
მე უმძიმეს ტვირთს
მარტოობისას
ვატარებ ჩემი უმწეო მხრებით.

მე მაკისრია ვალი მამულის
ეს არის ჩემი მარადი ფიქრი
გაუბზარავი რწმენით აღვსილი
გაუწალდავ გზებს
გავწალდავ, ვიცი.

მე დავიბრუნებ აფხაზეთს,
ოსეთს,
წალკოტად ვაქცევ მშობლიურ მიწას,
მე რწმენით ჩემით-
მზესაც შევწვდები
და რწმენით ჩემით
მივაღწევ მიზანს.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499